პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 27 მარტი, 1952 წ. № 74 (9234). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ნაბჯოთა პატრიოტიზმის მძლავრი ძალა—„პრავდის“ 26-III მოწინავე (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაცია (მე-2 გვერდი).
მ. ჯინჭველაშვილი — ბოლშევიკური პარტიის XI ყრილობის 30 წლისთავი (მე-2 გვერდი).
რატომ ჩამორჩება გორის შპალსაყელენთი ქარხანა? (მე-2 გვერდი).
ალმასკომის ანგარიში რაისაბჭოს სესიაზე (მე-2 გვერდი).
23-25 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე (მე-3 გვერდი).
სიახლე ფილტრის [illegible] ძირუარგიული მეთოდით [illegible]ბაში (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—„ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება“ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი ძალა

მთელი ჩვენი ქვეყანა—კიდით კიდემდე—მოცულია მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პათოსით. საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაუღალავად შრომობს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ჩვენი ხალხის გმირული შრომის დაუშრეტელი წყაროა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეა კომუნიზმის მშენებელთა ერთიან, დარაზმულ არმიად აერთიანებს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას.

„საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები“.

საბჭოთა პატრიოტიზმი მძლავრი, ცხოველმყოფელი ძალაა. იგი თავს იჩენს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საბჭოთა ადამიანები შეგნებულად ეკიდებიან თავიანთ შრომას, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის და საზოგადოების წინაშე უპირველესი მოვალეობის საქმეს.

მძლავრი პატრიოტული აღმავლობა მკაფიო გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით, რაც მომდინარე წელს ახალი ძალით ჩაღდება. სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას დიდი რუსი ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირის ერებს შორის ყველაზე გამოჩენილი ერია.

ღრმად შეგნებული აქვთ რა თავიანთი როლი კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში, მაგნიტოგორსკელმა მეტალურგებმა ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში პასუხსაგები ვალდებულებანი იკისრეს 1952 წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებაში სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა, ბაშკირეთის ნავთის მრეწველობის მუშაკებმა, კუზნეცკის მეტალურგებმა.

1952 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში დღითიდღე ებმებიან კომუნიზმის მშენებელთა სულ ახალი რაზმები. საბჭოთა ადამიანები უზრუნველყოფენ მინარეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას, ცდილობენ გააკეთებინონ მოწინავე საბჭოთა ტექნიკას ყველაფერი, რის გაკეთებაც მას შეუძლია, იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

კუბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი, რომელმაც პასუხსაგები ვალდებულებანი იკისრა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში წერს:

„ჩვენი შრომის ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი ჩვენი გულისცემა, ჩვენი გონების ყოველი აზრი ეკუთვნის პარტიას, სამშობლოს, გეკუთვნით თქვენ, ვისაც მიგყავართ ნათელი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

კომუნიზმისათვის ბრძოლის ფრონტის მოწინავე ხაზზე დაგვაყენეთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, და ჩვენ, სტალინური ეპოქის დიადი მშენებლობის მონაწილენი, შეგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა ესოდენ დიდი ნდობისათვის, პირობას გაძლევთ, ძვირფასო ჩვენო ბელადო და მასწავლებელო, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს, ენერგიასა და გამოცდილებას მოვახმართ ნაკისრ ვალდებულებათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებას“.

სვერდლოვსკის ოლქის მშრომელები, რომლებმაც აგრეთვე სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს 1952 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, დიდი სტალინისადმი თავიანთ წერილში აცხადებენ:

—ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია. ერთგულად დავიცავთ ჩვენს სიტყვას, როგორც ეს შეშვენის საბჭოთა პატრიოტებს, რომლებისთვისაც არა არის რა სახელმწიფოს ინტერესებზე უფრო მაღალი. მთელ ჩვენს ენერგიას, მთელ ჩვენს შრომას მოვახმართ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

მშრომელთა წერილები ამხანაგ სტალინისადმი შესანიშნავი, დიდად აღმაფრთოვანებელი დოკუმენტებია, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას დედა სამშობლოსადმი, ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. საბჭოთა პატრიოტების წერილები მოწმობენ, რომ სსრ კავშირის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პატრიოტული მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე და ყველაზე მაღლა აყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ განუხრელი წინსვლის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ადამიანები არ კმაყოფილდებიან შრომაში მიღწეული წარმატებებით, აღწევენ სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს. თავიანთი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები, ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობათა და დაწესებულებათა, კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმეების გაუმჯობესებისათვის. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მშრომელები გაბედულად ამხილებენ მუშაობის ნაკლოვანებებს, სძლევენ სიძნელეებს, აქტიურად იბრძვიან ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის. ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ღრმა პატრიოტული მისწრაფების გამოხატულებაა, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესი ქმედითი ძალის მაჩვენებელია.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს — მშრომელთა ნამდვილი სამშობლოს, მშვიდობის ურყევი ბურჯის ძლიერება. ეს საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობით, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით აღავსებს მშრომელთა გულს.

ახორციელებს რა ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანას — განვავითაროთ და დავნერგოთ საბჭოთა პატრიოტიზმი, — პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მტკიცედ იბრძვის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ. ჩვენი პარტია საბჭოთა ადამიანებს ზრდის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, შრომის სოციალისტური დისციპლინის სულისკვეთებით, ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე საბჭოთა ადამიანების — ჩვენი დიდი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლების აღზრდის საბრძოლო პროგრამაა.

აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმისა და საშუალების ყოველმხრივ გამოყენებით, მასებში პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის იდეური დონის ამაღლებით პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ცხადყოფ კომუნისტური მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი, გვიჩვენონ ჩვენი ხალხის მაღალი მორალური თვისებები, პროპაგანდა გაუწიონ შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშებს.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებენ პროფკავშირები და კომკავშირი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ ათეულ მილიონობით ადამიანს. მშრომელთა მასებში საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეები შეაქვთ ჩვენს პრესას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. პარტია და მთავრობა გასაკუთრებით ზრუნავენ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის, ყოველი ღონისძიებით ავითარებენ სახალხო განათლების საქმეს, აუმჯობესებენ საბჭოთა სკოლის მუშაობას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კონკრეტულად უხელმძღვანელონ იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბანს, იბრძოლონ მისი დონის ამაღლებისათვის.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ განვითარდეს და დაინერგოს საბჭოთა პატრიოტიზმი, გაძლიერდეს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 26-III მოწინავე

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

★

ფეიქრები მამაცურად შრომობენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატის საწარმოებში საპირველმაისო შეჯიბრებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ფეიქართა მრავალრიცხოვანი კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დგას და თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მთავარ აბრეშუმსაქსოვ საამქროში ყოველი დღე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღინიშნება. მაგალითად, 21 და 22 მარტს საამქრომ ნაცვლად 15 ათასი მეტრისა 16 ათასამდე მეტრი ქსოვილი გამოუშვა. მრავალდაზგოსანი სტახანოველები ნ. ჩუბინიძე, ო. ჯვარშეიშვილი, ნ. კოხრეიძე, ე. კაჭახიძე და სხვები შეჯიბრებით ნაკისრი 120 პროცენტის ნაცვლად ყოველდღიურ გეგმებს 140-150 პროცენტით ანაღდებენ.

საგრეხ-მოსამზადებელ საამქროში დავალების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას. ს. ცინცაძის, ს. კუბლაშვილის, მ. კუხიანიძის და სხვების უნარიანი მუშაობით საამქრომ მარტის ორ დეკადაში 12 ათასი მანეთის ნედლეული დაზოგა.

საპირველმაისო შეჯიბრება ძაფსაღებ საამქროში დაემთხვა ციალა ღლონტის მეთოდით მუშაობის პირველ შედეგებს. სტახანოველები თ. გიგიაძე და ე. სითათიშვილი საფუძვლიანად დაეუფლნენ ორივე ხელით ძაფის ამოხვევას, თვითეული მათგანი შეუფერხებლად მუშაობს 6 დაზგაზე და ცვლაში 20-25 პროცენტით მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე წინათ.

ახალი ბოსტნეული საღღესასწაულოდ

ყოველწლიურად იზრდება ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობა თბილისის გარეუბნის სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან 196,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.595,7 ცენტნერისა მოიყვანეს 21.582,9 ცენტნერი ბოსტნეული.

სოღანლუღელი კოლმეურნეები მიღწეული წარმატებით არ კმაყოფილდებიან. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის აღსანიშნავად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება და იბრძვიან იმისათვის, რომ ყველა სახის ბოსტნეულის კულტურების თესვა 15 აპრილამდე დაამთავრონ, 1 მაისამდე საადრეო პამიდორი დარგონ 15 ჰექტარზე, ამავე რიცხვისათვის თბილისის მშრომელებს მიაწოდონ 1.950 ცენტნერი ადრეული ბოსტნეული.

საპირველმაისო შეჯიბრებაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ა. კოპალეიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა სწრაფად ამზადებს ნიადაგს ბოსტნეული კულტურების დასათესად. ბრიგადამ იკისრა თესვა დაამთავროს 10 აპრილამდე.

ბოსტნეულის კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად ნაყოფიერად მუშაობენ მეხუთე ბრიგადაში (ხელმძღვანელი ამხ. ლ. უგულავა). აქ შარშან ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა 125,5 პროცენტით შესრულეს. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს აგრეთვე მერგოლურებმა ნ. კირთაძემ, ვ. კაკაურიძემ, ვ. მელქაძემ, ვ. ცანავამ, რ. ლაგვილავამ და ი. გალდავამ.

მექანიზაციის წარმატება

თელეთი. (სპეც. კორ.). მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისის აღსანიშნავად თელეთის მტს-ის მექანიზატორები დღითიდღე აძლიერებენ ხვნის, თესვის, ფარცხვის, კულტივაციის, ახალი მიწების ათვისების ტემპს.

მტს-ის მთელი პარკი ორ ცვლად მუშაობს, იბრძვის იმისათვის, რომ მოიყვანოს შარშანდელზე ერთიორად მეტი პურის, მზესუმზირას და სხვა კულტურების მოსავალი. მტს-ის მიერ (დირექტორი ამხ. გ. მორჩილაძე) კოლმეურნეობებში პირობით ხვნაზე გადაყვანით წელს უკვე დამუშავებულია შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად მეტი ფართობი, ამასთან მექანიზატორებმა დაზოგეს 2.000-მდე კილოგრამი საწვავი.

ი. ჯამალაშვილის ბრიგადამ თელეთის კოლმეურნეობაში აოშა, დათესა და დაფარცხა 120 ჰექტარი მზრალი, ახლა კი მიწას საანეულოდ ხნავს.

ნ. კახელაშვილის ბრიგადას სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დამუშავებული და დათესილი აქვს 150 ჰექტარზე მეტი, ამასთან ბრიგადამ დიდ ფართობზე ამოძირკვა ბუჩქნარი, დამატებით გათვალისწინებული აქვს მიმდინარე გაზაფხულზე მოხნას სულ მცირე 30 ჰექტარი ყამირი და 30 ჰექტარი ანეული.

ასეთივე წარმატებაა მტს-ის დანარჩენ ბრიგადებში. ტრაქტორისტი ოთარ კენჭაძე დღიურ ნორმას 120-130 პროცენტით ასრულებს და დიდი რაოდენობით ზოგავს საწვავს. გიორგი კახელაშვილი „ს-80“ ტრაქტორით ნორმას მნიშვნელოვნად აჭარბებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესიაზე

1952 წლის ბიუჯეტის განხილვა

პრაღა, 25 მარტი. (საკდესი). ვუშინ პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების მორიგი სესია.

სესიის გახსნას დაესწრნენ მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ა. ზაპოტოცკის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები. სესია გახსნა ეროვნული კრების თავმჯდომარემ ოლდრიხ ირმა. მოხსენება ჩეხოსლოვაკიის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა ი. კაბეშმა. მან ხაზგასმით აღნიშნა შრომითი შემოსავლისა და მოსახლეობის მოხმარების განუწყვეტელი ზრდა.

შემდეგ კაბეში შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო ხარჯების შემცირებასთან, სახსრებისა და მასალების მოჭირნეობისათვის ბრძოლასთან, საფინანსო დისციპლინის დაცვასთან, და შეუდგა 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წაკითხვას. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პირველად წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან და ძირითად საფინანსო გეგმას. 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 324,3 მილიარდ კრონა შემოსავალს და 323,5 მილიარდ კრონა ვასაღებს. გასავლის საერთო თანხიდან სახალხო მეურნეობისათვის ასიგნებულია 217,5 მილიარდი კრონა ანუ 67,2 პროცენტი, კულტურულ და სოციალურ ღონისძიებათათვის — 58,8 მილიარდი კრონა ანუ 18,2 პროცენტი, ეროვნული თავდაცვისა და უშიშროებისათვის — 22,4 მილიარდი კრონა ანუ 6,9 პროცენტი და ა. შ.

1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში იმ სახით, რომლითაც მთავრობა მას ეროვნულ კრებას უდგენს, განაცხადა კაბეშმა, განსახიერებულია ჩეხოსლოვაკიის ხალხისა და მისი მთავრობის მისწრაფება სოციალიზმის აშენებისადმი, ჩეხოსლოვაკიის ხალხისა და მისი მთავრობის მისწრაფება მშვიდობისადმი.

ფინანსთა მინისტრის მოხსენების შემდეგ ეროვნულმა კრებამ მოისმინა ცნობა ეროვნული კრების კომისიებში ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

—⊙—

შანხაის გაზეთები მოწონავენ

გლეხთა დაჯილდოების

შესახებ

შანხაი. (საკდესი). დღეს შანხაის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოწამთოქმედების სამინისტროს დადგენილება მოწინავე გლეხთა დაჯილდოების შესახებ და მოათავსა ამ ამბისადმი მიძღვნილი მრავალი სტატია.

გაზეთი „დაგუნბაო“ მოწინავე სტატიაში წერს: მინდვრის მშრომელთა დაჯილდოება ისეთი მოვლენაა, როგორიც ჩინეთის ისტორიას არ ახსოვს. იგი ასახავს ახალი ჩინეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ შესანიშნავ წარმატებებს.

დაჯილდოებულთა შორის არიან საწარმოო შეჯიბრების ინიციატორები, ურთიერთდახმარების საუკეთესო ჯგუფების ხელმძღვანელები, რომლებსაც მთელი ჩინეთი იცნობს. მათი შესანიშნავი წარმატებანი ჩინელ გლეხთა პოლიტიკური შეგნების ზრდის, შრომითი ენთუზიაზმის უმაღლესი განვითარების შედეგია.

ეს დადგენილება, წერს შემდეგ გაზეთი, ხელს შეუწყობს უხვი და მყარი მოსავლისათვის ახალი ჩინეთის გლეხთა უფასრთოესი მასების მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

—⊙—

ახალგაზრდობის მსოფლიო

კვირეული რუმინეთში

ბუქარესტი, 25 მარტი. (საკდესი). რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის წევრები, რომელიც თავის რიგებში მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს, 700 ათასი პიონერი — მთელი რუმინელი მშრომელი ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეულში.

ასეულათასობით ახალგაზრდა მუშა ამ დღეებში თავის შრომითს მიღწევებს უძღვნის მშვიდობის დიად საქმეს. ბუქარესტის ქარხანა „დინამოს“ საუკეთესო საწარმოო ბრიგადას, რომელიც მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის წევრებისაგან შედგება და რომელიც 1954 წლის ანგარიშში მუშაობს, რუმინეთის დედაქალაქში პირველს მიეწიფა სტახანოვური ბრიგადის წოდება.

გალაცის ოლქის სამრეწველო საწარმოებში ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეულის აღსანიშნავად გაჩაღებულ შრომითს შეჯიბრებაში ჩაება 5.800 ჭაბუკი და ქალიშვილი. ბევრი მათგანი 2-3 ნორმას ასრულებს ცვლაში. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ინდუსტრიული ქალაქის სტალინის, ხუნედოარის გ. გეორგიუდეჟის სახელობის მეტალურგიული კომბინატის, რეშიცის, პლოეშტისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშა ახალგაზრდობა.

—⊙—

ბულგარეთში ეწყობა

პიონერთა საერთაშორისო

საზაფხულო ბანაკი

სოფია, 23 მარტი. (საკდესი). ქალაქების სოფიისა და სტალინის მშრომელთა დეპუტატების სახალხო საბჭოების ინიციატივით წელს ბულგარეთში ეწყობა პიონერთა საერთაშორისო საზაფხულო ბანაკი. იგი იქმნება შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქ სტალინის წარმატაც მიდამოებში.

პიონერთა საერთაშორისო ბანაკში ქალაქ სტალინის მახლობლად დაისვენებენ რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მშრომელთა შვილები.

საბჭოთა კავშირში

★

ჯურბინგენერატორი ზემძლავრი ჯურბინისათვის

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა „ვოლგადონმშენისათვის“ ელექტრომანქანების მიწოდების პირველი კვარტალის დაკვეთები. ქარხნის მემონტაჟენი ცომლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებთან ერთად აწყობენ ჰიდროგენერატორებს.

ქარხნის საამქროებში ახლა ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის მიერ აგებული ზემძლავრი ორთქლის ტურბინის უნიკალური ტურბინგენერატორის კვანძების ვადამდე დამზადებისათვის. ტურბინის კორპუსის სტახანოველებმა წარმატებით დაამთავრეს უდიდესი კვანძის — როტორის სახარატო დამუშავება. მის შემდგომ დამუშავებას ეწევიან მღარველები. მათ ვალდებულება იკისრეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — 1 მაისის აღსანიშნავად ღარვა დაამთავრონ ვადაზე ხუთი დღით ადრე.

25 მარტი. (საკდესი).

ბაქო. აზერბაიჯანის სსრ მთავრობის სახლი.
ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის გამო

ტაშკენტი, 25 მარტი. (საკდესი). უზბეკეთის დედაქალაქის საზოგადოებრივობა ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავი.

შუა აზიის უნივერსიტეტში ეწყობა თეორიული კონფერენცია, რომელზეც წაკითხულ იქნება მოხსენებანი ლეონარდო და ვინჩის ეპოქაზე, მის მხატვრულ შემოქმედებაზე და მეცნიერების დარგში ნაშრომებზე. უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნება გენიალური მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

ლეონარდო და ვინჩის ნაწარმოებთა გამოფენას აწყობს უზბეკეთის ალიშერ ნავოის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა. უზბეკეთის საბჭოთა მხატვრების კავშირი აწყობს ლეონარდო და ვინჩის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ თეორიულ კონფერენციას.

მოხსენებანი მომავალი იუბილეს შესახებ წაკითხულ იქნება უზბეკეთის ქალაქებსა და ყიშლაყებში.

დაიწყო წყალსაშვები კაშხალის ზღუდარის აგება

სტავროპოლი, 25 მარტი. (საკდესი). კომსომოლსკის მახლობლად, ვოლგის მარცხენა ნაპირზე, კუნძულ ტელიაჩის ტერიტორიაზე კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლებმა დაიწყეს წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის გადამღობი ზღუდარის აგება.

მექანიზებულ სამუშაოთა მარცხენა ნაპირის უბნის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი გორბანი ხელმძღვანელობს, გულდასმით მოემზადა ახალ უმნიშვნელოვანეს ჰიდროტექნიკურ ობიექტზე სამუშაოდ. სტახანოველმა ბულდოზერისტებმა იაკოვლევმა, კორობოვმა და სტაროსტინმა ბულდოზერების ფოლადის დანებით მოჭრეს გრუნტი და გასწორეს ზღუდარის ფუძე. ამუშავდა ექსკავატორები. ვახტზე დგანან მემანქანეები ნეჩიპორენკო და ზგურა. მძლავრი ელექტროექსკავატორებიდან ერთიმეორეზე დაიძრნენ ზღუდარისაკენ ქვიშით სავსე 5-ტონიანი ფოთლიანი ავტომანქანები. მუშაობის პირველსავე დღეს ჰიდრომშენებლებმა ორი ათასზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი ჩაყარეს ზღუდარში.

წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის ზღუდარი კუიბიშევის ჰიდროკვანძის ჰიდროტექნიკური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტია. რვა კილომეტრზე მეტი სიგრძის ზღუდარი 80 მეტრამდე სიგანისა და 15 მეტრამდე სიმაღლის გიგანტური მიწაყრილი იქნება. მშრალი წესით ზღუდარში ჩაიყრება 1 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი და ჰიდრომექანიზაციის მეთოდით მოისილება 6 მილიონზე მეტი კუბური მეტრი.

ზღუდარის აგების შემდეგ ჰიდრომშენებლები ახლო მომავალში დაიწყებენ წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის ამოღებას.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის 850 ბრიგადა

მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისრის 1-ლ სახელმწიფო ქარხანაში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოს წოდებისათვის ერთმანეთს ეჯიბრება 1.136 ბრიგადა, მათგან 850 ბრიგადა ღირსეულად ატარებს ამ საპატიო წოდებას. იგი მოიპოვა 124 ფანყოფილებამ და 8 საამქრომ.

ქარხანაში ათვისებულია 10-ზე მეტი ტიპის საკისარი, განკუთვნილი იმ მექანიზმებისა და მანქანებისათვის, რომლებიც კომუნიზმის დიად მშენებლობებზე იგზავნება. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაცია

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ პარტიული კადრების იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის განუწყვეტლივ ამაღლებას. პარტიამ ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ მისი კადრები განუწყვეტლივ იზრდებოდნენ და სრულყოფილი ხდებოდნენ, იდგნენ მათ წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე, სწორად და უნარიანად წყვეტდნენ ამ ამოცანებს.

პარტიის წყალტუბოს რაიკომი დიდ მუშაობას ეწევა პარტიულ მუშაკთა პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის. აქტივის სემინარი, რომელიც რაიკომთან არსებობს, დიდად ეხმარება კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში. პარტიულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ემსახურებიან აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სხვა ღონისძიებანი.

მაღლაკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი პარტორგანიზაციაა რაიონში. იგი ასზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. მას კარგად ეხმარება რაიკომი. რაიკომის ინსტრუქტორები ხშირად მიდიან პარტიულ ორგანიზაციაში, პრაქტიკულად უჩვენებენ მის ხელმძღვანელებს როგორ უნდა გადაჭრან ესა თუ ის საკითხი, როგორ უნდა შეავფასოთ ესა თუ ის კონკრეტული მოვლენა. ამის შედეგად პარტიული აქტივი კარგად ერკვევა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებში. კოლმეურნეობის ეკონომიკის კარგად ცოდნა საშუალებას აძლევს კომუნისტებს პარტიულ კრებებზე, ბიუროს სხდომებზე, თათბირებზე სწორად დააყენონ და გადაჭრან საკითხები. 5 თებერვალს პარტორგანიზაციის ღია კრებამ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი. კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაუკეთებია საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად. საადრეო ხვნა ნაცვლად 1.830 ჰექტარისა ჩატარებული იყო 220 ჰექტარზე, მთელ რიგ ბრიგადებში გაუწმენდავი იყო სარწყავი არხები, გამგეობამ დაადგიანა ზოგიერთი ბრიგადისათვის ნაკვეთის გამოყოფა, კოლმეურნეობას სჭირდებოდა 385 სახნისი და 80 ურემი, მათ შესაძენად ზომები არ მიუღიათ. აგრეთვე გამომჟღავნდა, რომ მეშვიდე ბრიგადის წევრებმა საკოლმეურნეო ფართობში შეატანეს ნაკელი არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს. გამოავლინა რა აღნიშნული ნაკლოვანებანი, პარტორგანიზაციამ მჭიდროდ დარაზმა ძალები მათი გამოსწორებისათვის. ახლა კოლმეურნეობაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.

კოლმეურნეობაში მომუშავე ყველა კომუნისტი საქმით ამართლებს ავანგარდულ როლს. მაგალითად, პარტიის წევრმა ნორა მარდალეიშვილმა შარშან ნახევარ ჰექტარზე 800 კილოგრამის ნაცვლად 4.494 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 1.074 შრომადღე გამოიმუშავა. კომუნისტ ვ. კანკაძის ბრიგადას გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს ხუთი ათასამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მოწინავეა მეცხოველეობის ფერმის ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ი. ბობოხიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ნაცვლად 73.600 ლიტრისა მიიღო 81.333 ლიტრი რძე.

კოლმეურნეობის წარმატებანი მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებით.

როგორც ცნობილია, პარტიული კადრების აღზრდისა და სწავლების დიდი სკოლაა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებების განხილვა ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ. რაიკომის ბიუროს სხდომაზე მრავალჯერ მოუსმენიათ ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოხსენებები. საკითხის ორმად შესწავლა, კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება ადგილობრივ მუშაკებს ეხმარება პარტიული მუშაობის ხელოვნების დაუფლებაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა-დახმარების საქმეში რაიკომს სერიოზული ნაკლოვანებანიც აქვს.

კურორტის პოლიკლინიკის პარტორგანიზაციის მდივანი ე. მეგრელიშვილი ახლახან იქნა არჩეული ამ პოსტზე. რაიკომი მას არადამაკმაყოფილებლად ეხმარება. საკმარისია პარტიული კრებების ოქმებისა და სხვა პარტიული დოკუმენტების გადახედვა, რომ დავრწმუნდეთ პარტორგანიზაციის სუსტ მუშაობაში. რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წლის 9 იანვარს პარტორგანიზაციის კრებას განუხილავს საკითხი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილება დეკლარაციული ხასიათისაა და არცერთ კონკრეტულ ფაქტს არ შეიცავს.

ნაკლოვანებათა პრინციპული, საქმიანი კრიტიკა კადრების სწორი აღზრდის აუცილებელი პირობაა. ეს ჭეშმარიტება არა აქვთ შეგნებული კურორტაჭრობის პარტიულ ორგანიზაციაში, აქ ბოლშევიკური მუშაობის ეს ნაკადი მეთოდი უგულებელყოფილია. ამის შედეგიცაა, რომ აქ არის გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. გასული წლის ბოლოს კურორტაჭრობაში რამდენიმე ათეული ათასი მანეთი გაიფლანგა, პარტიულ ორგანიზაციას კი (ყოფილი მდივანი გ. ჩხეიძე) არავითარი ზომა არ მიუღია. სუსტი პარტიული კონტროლის შედეგია, რომ კურორტაჭრობაში კვლავ გრძელდება გაფლანგვა-დატაცება. მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში № 2 წერტს (გამგე ბ. ლექთაძე) აღმოაჩნდა 40 ათას მანეთზე მეტი დანაკლისი.

საჭიროა პარტიის წყალტუბოს რაიკომმა მტკიცე კონტროლი დააწესოს ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისადმი, მათდამი დახმარების გაძლიერებით მიაღწიოს ნაკლოვანებების გამოსწორებას, ახალ სამეურნეო წარმატებათა მოპოვებას.

ბ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რაჭვომ ჩამორჩება გორის შპალსაყრელთი ქარხანა?

გასული წლის სექტემბრიდან გორის შპალსაყრელთი ქარხანა სისტემატურად ვერ ასრულებს საგეგმო დავალებას. ქარხნის კოლექტივმა შარშან წლიური გეგმის შესრულებას 11 პროცენტი დააკლო.

მოსალოდნელი იყო, რომ ქარხნის ხელმძღვანელობა მთელ ძალებს წარმართავდა ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მაგრამ ასე როდი მოხდა. ახალი წლის პირველი დღიდანვე უფრო შეანელეს მუშაობა, გრძელდება თვითდამშვიდება და იერიშობანა. იანვრის გეგმა ქარხანამ მხოლოდ 43,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვლისა 56,3 პროცენტით. ჩამორჩენაა მარტშიც.

რა არის ქარხნის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა—დაბალი საწარმოო კულტურა, ტექნიკის ცუდად გამოყენება, მუშახელის ნაკლებობა, შრომის დისციპლინის დაცვა.

შპალის მეღენთავთა იმ ცვლამ, რომელსაც ოსტატი ნ. მაზმიშვილი ხელმძღვანელობს, თებერვლის დავალება მხოლოდ 35 პროცენტით შეასრულა. როგორც თებერვალში, ისე წინა თვეებშიც სამარცხვინოდ ჩამორჩნენ აგრეთვე ასკილაშვილისა და თედელურის ცვლები. ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მუშახელის სიმცირის გამო შპალის ქღენთვა ხშირად შეჩერებულია და მეღენთავებს სხვა სამუშაოს ასრულებინებენ. მაგალითად, 8 თებერვალს მაზმიშვილის ცვლას სრულებით არ უმუშავნია შპალის ქღენთვაზე, ხოლო 9 თებერვალს დავალება სანახევროდაც ვერ შეასრულა, ვინაიდან ცვლა პირდაპირ სამუშაოს მოსწყვიტეს და ვაგონების დაცლაზე გადაიყვანეს, თუმცა შპალის მეღენთავებს ეს სამუშაო არ ევალებათ.

საწარმოს ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშახელით ქარხნის უზრუნველყოფას და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რაც იწვევს მუშათა დენადობას. მუშებს შექმნილი არა აქვთ ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები: მოუწყობელია მუშათა საერთო საცხოვრებლები, ცუდად მუშაობს ქარხნის სასადილო (გამგე ნ. ინასარიძე), სადაც დაბალი ხარისხის კერძებს ამზადებენ. სასადილო არ მარაგდება აუცილებლად საჭირო პროდუქტებით. რკინიგზის მუშათა მომარაგების ხაშურის განყოფილება არავითარ ყურადღებას არ აქცევს სასადილოს მუშაობას და პროდუქტებით მომარაგებას. განყოფილების უფროსი ამხ. სხილაძე სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს.

ქარხნის ხელმძღვანელობა დიდი დაგვიანებით სცლის რკინიგზის გორის სადგურში მოსულ შპალით დატვირთულ ვაგონებს. ამიტომ არის, რომ ქარხანამ ვაგონების მოცდენისათვის სადგურს ჯარიმად 96 ათასი მანეთი გადაუხადა. ლიანდაგები ვერ უზრუნველყოფენ ამწეების სრული დატვირთვით გამოყენებას.

ქარხანას ორთქლი არ ჰყოფნიდა. ამიტომ 1950 წლის ზაფხულში დაიწყეს ახალი საქვაბე განყოფილების მშენებლობა, რაც დანამაულებრივად ჭიანურდება. ასევე ჭიანურდება მუშებისათვის ბანოს მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან არსებული სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა გადამჭრელ ზომებს არ იღებს აღნიშნულ მშენებლობათა დროზე დამთავრებისათვის.

ქარხანაში არის შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ამას წინათ მუშები ჯოჯიშვილი, სარქისიანი და ჯიოევი სამუშაოზე არ გამოცხადდნენ იმის გამო, რომ სხვა დაწესებულებას „დაეხმარნენ“.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია არის, რომ ქარხანაში სუსტია მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. მოუქნელად მუშაობს პროფორგანიზაცია. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფირცხალავა ყურადღებას არ აქცევს მუშაობის გაუმჯობესებას. მუშათა შორის ფორმალურად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, არ წარმოებს შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

ქარხნის პარტბიურომ (მდივანი კ. ქიტიაშვილი) ვერ გააჩაღა გადამწყვეტი ბრძოლა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბიურო ზოგჯერ კარგ გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ ამით მდგომარეობა ოდნავაც არ უმჯობესდება. პარტბიურო ყურადღებას არ აქცევს დადგენილებების შესრულების შემოწმებას, ცუდად იყენებს სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ადვილად ურიგდება იმათ, ვინც ხელს უშლის ქარხნის კოლექტივს საწარმოო წარმატებათა მოპოვებაში. სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. იშვიათად ეწყობა პოლიტიკური საუბრები მუშებისათვის საინტერესო საკითხებზე.

მდგომარეობის გამოსწორებას სერიოზულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების მუშაკები, მაგრამ მათ ცოტა იციან იმის შესახებ, თუ რა კეთდება გორის შპალსაყრელთი ქარხანაში. პოლიტგანყოფილებაში გორიდან მიწოდებული ციფრებისა და ანგარიშების მიხედვით მსჯელობენ. მართალია, ზოგჯერ გორში ჩამოდიან პოლიტგანყოფილების მუშაკები, მაგრამ მხოლოდ შესამოწმებლად და ცნობების მისაღებად, ხოლო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ პარტიულ ორგანიზაციას.

გორის შპალსაყრელთი ქარხნის ჩამორჩენას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა ქარხნის ხელმძღვანელობამ ქმედითი ზომები მიიღოს ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა მშენებლობა ეროვნულ

აღმასკომის ანგარიში რაიონსაბჭოსესიაზე

ნაკლოვანებათა მხილებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ნიშნით ჩაიარა ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს მორიგმა, მე-7 სესიამ. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღიდან აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშით გამოვიდა რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. გაჩეჩილაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ამასთან ილაპარაკა აღმასკომის სხდომათა ნაკლებ ეფექტიანობაზე. აღმასკომის სხდომები დიდად იტვირთება განსახილველი საკითხებით, საშუალოდ თვითეულ სხდომაზე განიხილავენ 22 საკითხს. ზოგჯერ წინასწარ არ ამზადებენ აღმასკომის სხდომებზე განსახილველ საკითხებს. ამის შედეგად სხდომები 5-6 საათს ჭიანურდება. სესიის მოწვევის ვადებიც ირღვევა.

მომხსენებელმა გააკრიტიკა რაიაღმასკომის განყოფილებანი, რომლებიც ყურს არ უგდებენ მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებს. ბევრი განცხადება გროვდება სოფლის მეურნეობის, საფინანსო, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში და დამზადების სამინისტროს სარწმუნებულოში. ამ განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები განცხადებებზე სათანადო პასუხს არ აძლევენ, ეს იწვევს იმას, რომ მშრომელები იძულებული ხდებიან ზემდგომ ინსტანციებს მიაწოდონ განცხადებანი ისეთ საკითხებზე, რომელთა ადგილზე მოგვარება ადვილად შეიძლება.

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესეს მუშაობა ელიაწმინდისა და წყრუთის სასოფლო საბჭოებმა. მათი სამუშაო გეგმები კონკრეტულია. დაწესებულია შესრულების ვადა. წარმატებით სრულდება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დავალებანი. ამის შედეგად ელიაწმინდის სასოფლო საბჭო ინარჩუნებს პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალ წითელ დროშას.

სესიების მოწვევა უგულებელყოფილია საძელის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე შ. ნახაპეტიანი). სესიების მოწვევის ვადებს არღვევენ აგრეთვე აწყურის, წყალთბილის, პამაჩის, კლდისა და მინაძის სასოფლო საბჭოებში.

ზოგან სასოფლო საბჭოების მუშაობაში არ აბამენ მშრომელთა ფართო მასებს, არ ეყრდნობიან აქტივს, ნაკლებად უწევენ ანგარიშს მასებს, გასაქანს არ აძლევენ კრიტიკას. ასე იქცეოდა ურავლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ნ. კოსტანიშვილი, რომელიც ამასთან ერთად საბჭოთა მუშაკისათვის შეუფერებელ საქმიანობას ეწეოდა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. დეპუტატმა ა. ნუცუბიძემ ილაპარაკა საქალაქო საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ირღვევა სესიის მოწვევის ვადები. დღემდე წესით დადგენილი 15 სესიის ნაცვლად საქალაქო საბჭომ სესია მხოლოდ 7-ჯერ მოიწვია. სესიებზე არ მსჯელობენ ქალაქის კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დაცვის საკითხებზე, მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობას ყურადღება არ ექცევა. ცალკეულ პირთა დაუდევრობით ნადგურდება ქალაქში დარგული მცენარეები. არ ხდება ამ საქმეში დამნაშავე პირთა საზოგადოებრივი გაკიცხვა. ამ მხრივ ცუდად მუშაობს საქალაქო საბჭოს გამწყვანების მუდმივი კომისია (თავმჯდომარე თ. ჩილაშვილი).

საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა თ. ცინცაძემ გააკრიტიკა იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც საკასო დისციპლინას აღავვენენ. ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი თანხები დახარჯეს ბანკის გვერდის ავლით. ფულადი გადასახადის დიდი ნარჩენებია აწყურის სტალინის, კლდის ბერიას, ჭაჭარაქის სტალინის და აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობებში. შამპანკომბინატის ღვინის ქარხნის საცალო მაღაზიამ ბიუჯეტს დააკლო მილიონზე მეტი მანეთი. ასეთი მდგომარეობაა არტელ „მეგობრობაში“ და პურკომბინატში.

აწყურის სტალინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ელეონორა ბერაიამ თავისი სიტყვა მიუძღვნა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხს, აღნიშნა ამ საქმეში არსებული სერიოზული ჩამორჩენა, მოითხოვა რაიაღმასკომის დახმარება ქერისა და კარტოფილის თესლით კოლმეურნეობის უზრუნველყოფის საქმეში.

სესიამ დეპუტატთა მიერ წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ერ. ხარებავა

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მუზეუმი სკოლასთან

თბილისის ქალთა 22-ე საშუალო სკოლასთან შექმნილია მუზეუმი, რომელიც სამაგალითოა გახდა მთელი რესპუბლიკის სკოლებისათვის. საინტერესო ისტორია აქვს ამ მუზეუმს: 1947 წელს ამ სკოლის მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემსწავლელი წრე. წრის წევრებმა ექსკურსიებისა და ჯგუფური მოგზაურობების დროს დააგროვეს მრავალი ექსპონატი, ნივთი, გააკეთეს ჩანახატები, გადაიღეს ფოტოსურათები.

მთელი ეს მასალა ამჟამად სისტემატიზებული და გამოფენილია სასკოლო მუზეუმში, რომელსაც რამდენიმე განყოფილება აქვს. მუზეუმში არის ნუმიზმატიკის სტენდი, სასკოლო კედლის გაზეთების კუთხე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატი პორტრეტები, ბევრი სხვა საინტერესო მასალა.

ამ სასკოლო მუზეუმის შესახებ რუსეთის სფს რესპუბლიკის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სპეციალური ბროშურა.

ბოლშევიკური პარტიის XI ყრილობის 30 წლისთავი

30 წლის წინათ, 1922 წლის 27 მარტს, გაიხსნა ბოლშევიკური პარტიის XI ყრილობა. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყრილობა მიმდინარეობდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის რთულ პერიოდში.

საბჭოთა ქვეყანამ ბოლშევიკური პარტიისა და მისი გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად დაამთავრა სამოქალაქო ომი. განადგურებულ იქნა უცხოეთის ინტერვენცია და ყველა ჯურის შინაური კონტრრევოლუცია. მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მაშინ ძმიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო. ქვეყნის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას კიდევ უფრო აღრმავებდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გამოწვეული ნგრევა. კლასობრივი მტერი ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების ეს სიძნელენი გამოეყენებინა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ლენინისა და სტალინის სიბრძნემ და შორსმჭვრეტელობამ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხს უჩვენა ამ ძმიმე მდგომარეობიდან გამოსავალი, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გზები. ეს იმით გამოიხატა, რომ პარტიის X ყრილობამ 1921 წლის მარტში მიიღო გადაწყვეტილება სამოქალაქო ომის ვითარებით შექმნილი სამხედრო კომუნიზმის რეჟიმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე („ნეპზე“) გადასვლის შესახებ. „ნეპის“ განხორციელების პირველ ნაბიჯად დასახული იყო სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით. სასურსათო გადასახადზე გადასვლა გლეხს საშუალებას აძლევდა ის პროდუქტი, რაც გადასახადის შემდეგ რჩებოდა, თავისუფლად გაეყიდა ბაზარზე. ეს ღონისძიება ადიდებდა გლეხის შრომის ნაყოფიერებას, იწვევდა საქონელბრუნვის გაძლიერებას და დანგრეული სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, ქმნიდა ახალ სამეურნეო ბაზას მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის.

ნეპის ორმაგი ბუნების და მისი მნიშვნელობის ღრმა გაგება მოგვცეს ლენინმა და სტალინმა.

სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკისაკენ მობრუნებას ლენინი ადარებდა ციხესიმაგრის იერიშიდან მის ალყაზე გადასვლას. კლასობრივი მტრის დამარცხებისათვის საჭირო იყო დროებით უკანდახევა, ძალების მოკრება, ხოლო შემდეგ კვლავ შეტევის გაჩაღება.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა ანტილენინური განმარტება ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, როგორც მხოლოდ უკანდახევისა, და მოგვცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის კლასიკური განსაზღვრა. „ახალი ეკონომიური პოლიტიკა,—ამბობდა ამხანაგი სტალინი, — არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმის დაშვებას, თუ მბრძანებელი მწვერვალები პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია, გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, გულისხმობს კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას, გულისხმობს კლასების მოსპობას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას“ (ი. სტალინი. თხზ., ტ. 7, გვ., 398).

ბოლშევიკების პარტია წარმატებით ახორციელებდა ლენინისა და სტალინის მითითებებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების საქმეში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, პარტიის XI ყრილობაზე, ლენინმა განაცხადა, რომ უკანდახევა დამთავრდა, და წამოაყენა კერძო-მეურნეობრივ კაპიტალზე შეტევის მომზადების ლოზუნგი. პარტიის X ყრილობიდან XI ყრილობამდე განვლილმა პერიოდმა მთლიანად დაადასტურა ახალი ეკონომიური პოლიტიკის სისწორე. ჩვენი ქვეყანა, ძლევდა რა სიძნელეებს და მტრების წინააღმდეგობას, სწრაფად იშუშებდა ჭრილობებს. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, უმჯობესდებოდა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა.

ამ დროისათვის სერიოზული ცვლილებანი მოხდა საერთაშორისო ცხოვრებაში.

იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ეცნოთ საბჭოთა რუსეთი და დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იმპერიალისტებმა ხელი აიღეს თავიანთ მტრულ ზრახვებზე. საბჭოთა რუსეთის წარმატებანი და გამარჯვებანი დიდ შეშფოთებას იწვევდნენ იმპერიალისტურ ქვეყნებში. ჩვენი ქვეყანა ითვალისწინებდა ყოველივე ამას და თავგამოდებით იცავდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, ეხმარებოდა მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ძალების მოძრაობას ყველა ქვეყანაში.

XI ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლის შედეგები, რამაც უცილობლად დაამტკიცა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის ლენინური სტრატეგიული გეგმის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინმა. თავის მოხსენებაში ვ. ი. ლენინმა მოგვცა ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ანალიზი და აღნიშნა გენუის საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის დიდი მნიშვნელობა, რომლის მოწვევით დაინტერესებული იყვნენ თვით იმპერიალისტური ქვეყნები. ლენინი აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს სხვადასხვა სისტემის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიური კავშირისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ლენინის ამ ბრძნულ იდეას ამ ხნის განმავლობაში არათუ არ დაუკარგავს თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა, არამედ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ დღეს, თანამედროვე პირობებში. ორ სისტემას შორის ეკონომიური თანამშრომლობის ლენინური იდეა უდევს საფუძვლად მოსკოვის მომავალ ეკონომიურ თათბირს.

საშინაო ვითარების განსაზღვრის მიზნით ლენინმა მოგვცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პირველი წლის შედეგების ღრმა ანალიზი.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად ნეპი სავსებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას. იგი ამბობდა, რომ ნეპი წარმოადგენს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას; „ვინ-ვის“ — ასე დგას საკითხი, და გამარჯვებისათვის აუცილებელია მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველმხრივ განმტკიცება, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ყოველმხრივ გაშლა-გაფართოება, რომ საჭიროა ვისწავლოთ კულტურული ვაჭრობა, საჭიროა ვისწავლოთ მეურნეობის გაძღოლა.

ლენინის მითითებათა საფუძველზე XI ყრილობის შემდეგ პარტიამ ფართოდ გაიჩაღა სამეურნეო მუშაობა. პარტია თანმიმდევრულად და განუხრელად ხელმძღვანელობდა ლენინისა და სტალინის მითითებებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების შესახებ. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის, ხოლო შემდეგ მათი ლიკვიდაციის გზებისა და მეთოდების საკითხები. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ მოამზადა და განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, საბოლოოდ მოსპო ექსპლოატატორული კლასები ჩვენს ქვეყანაში. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობთ, საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლით ნეპური რუსეთი გადაიქცა სოციალისტურ რუსეთად.

ბოლშევიკური პარტიის დიდი გამოცდილება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისა და ქვეყნის სამეურნეო-აღმშენებლობითი მუშაობის ფართოდ გაშლის საქმეში დიდ დახმარებას უწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს მათი ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნაში. ლენინ-სტალინის პარტიის ამ მდიდარი გამოცდილების გათვალისწინება მნიშვნელოვნად აადვილებს სოციალიზმის მშენებლობას ამ ქვეყნებში.

პარტიამ 1921 წელს მოახდინა თავისი რიგების წმენდა მერყეევი ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ამჟამრა წინააღმდეგობას უწევდნენ ბოლშევიკების პარტიას ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში. „წმენდამ საგრძნობლად განამტკიცა პარტია, გააუმჯობესა მისი სოციალური შემადგენლობა, გააძლიერა მასების ნდობა პარტიისადმი, აამაღლა მისი ავტორიტეტი. გაიზარდა პარტიის შემჭიდროება და დისციპლინიანობა“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 337. 1947 წ. გამოც). პარტიის XI ყრილობამ განიხილა საკითხი—„პარტიის წმენდის შედეგებისა და მისი რიგების განმტკიცების შესახებ“. ამ საკითხზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ორგანიზაციული და იდეური ერთიანობის განმტკიცებაში.

XI ყრილობის გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი იყო დადგენილება კომკავშირის შესახებ. ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია კომკავშირში მუშაობას, განსაზღვრა კომკავშირის, როგორც პარტიის ახალგაზრდა რეზერვის როლი. ყრილობამ მიიღო დადგენილება მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ახალ პირობებში კომკავშირის მუშაობის შესახებ, ახალგაზრდობაში კულტურულ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ.

პარტიის XI ყრილობამ განამტკიცა პარტიის ერთიანობა, გამანადგურებელი პასუხი გასცა კაპიტალიზმის დაქირავებული აგენტების — შლიაპნიკოვის, პრეობრაჟენსკის, ტროცკის, ზინოვიევისა და სხვების ანტიპარტიულ გამოსვლებს და დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიიღო ლენინური გადაწყვეტილებანი. პარტიის წევრთა უდიდესი მასა მჭიდროდ დაირაზმა ლენინისა და სტალინის გარშემო, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

* * *

30 წელი გავიდა პარტიის XI ყრილობიდან. ბოლშევიკების პარტიამ ამ ხნის განმავლობაში სახელოვანი გზა განვლო. საბჭოთა სახელმწიფო და ბოლშევიკური პარტია კიდევ უფრო განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ. პარტია კიდევ უფრო დაუახლოვდა ხალხის მასებს. ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირით, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით სსრ კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ძლავრი ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო სოციალისტურ ქვეყნად. გამარჯვებული სოციალიზმის საფუძველზე სულ უფრო და უფრო განვითარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. დიდმა სამამულო ომმა ბრწყინვალედ დაადასტურა საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მისი ეკონომიკისა და იდეოლოგიის უპირატესობა და სიცოცხლისუნარიანობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებანი აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს კაპიტალისტური მონობისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტური

ქარელისა და ხაშურის რაიონების შეჯიბრება

ქარელი. (საკ. კორ.). 1952 წელს ...ბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ...ლისა და სხვა კულტურების მოსავ...ნობის გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშ...ის შესახებ რაიონის მოწინავეთა ...ებირზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღ...ომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. წიკლა...ა.

...ოფელ ლეთეთის კოლმეურნეობის ...მჯდომარემ მ. მარღიშვილმა თათ...ის პირობა მისცა მთელი ნათესი ...ართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს ... ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგ...ით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერისა. მოხისის კოლმეურნეობის თავ...ჯდომარე ი. მაჭარაშვილმა პირობა ...ადო მთელი ნათესი ფართობის საშ...ალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 22 ცენ...ნერი ხორბალი, ხოლო 100 ჰექტარი ...ართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ...ენტნერი.

...ორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხ...ისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ახალი ვალდებულებები იკისრეს რუისის, კეხვრის, ქვემოხვედურეთის, ახალსოფლის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ნ. შუბითიძემ, გ. ჭაბუკაშვილმა, ...კოპაძემ, გ. თვაურმა, ბრიგადირმა ...კავსაძემ, მერგოლურმა ვ. ოქროშიაძემ და სხვებმა.

...მოწინავეთა თათბირმა იკისრა 13.953 ...ექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე ...შუალოდ 16 ცენტნერი ხორბლის მი...ება.

...ქარელელთა ვალდებულება აგრეთვე ...ვალისწინებს, რომ ყოველ ჰექტარზე ...ღონ 22 ცენტნერი სიმინდი, ნაცვ...ად 20-სა, 350 ცენტნერი შაქრის ჭარ...ელი, ნაცვლად 250-სა და 40 ცენტნერ...ი თესლოვანი ხილი, ნაცვლად 35 ...ენტნერისა.

...ნაკისრ ვალდებულებათა წარმატე...ით განაღდების მიზნით ქარელის რაი...ნმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გა...იწვია ხაშურის რაიონი.

...ღმეურნეთა და მეცნიერ...ა შეკრება თანამეგობრობა

...ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქარის ...ენახელობა-მეღვინეობის საცდელი ...დგური (დირექტორი ე. ქოჩიაშვილი) ...ოფიერ მუშაობას ეწევა კოლმეურ...ობებში მეცნიერული ცოდნის და...ერგვისათვის; ამას წინათ საცდელ ...დგურში მოეწყო რაიონის კოლმეურ...ნეობათა თავმჯდომარეების, სამ...ეიანი აგროტექნიკური კურსების ...მენელების, მევენახე ბრიგადირების, ...ის მსმენელებისა და აგრონომ-აგ...როტექნიკოსების ექსკურსია. ექსკურ...ას წინ უძღოდა აგრონომ-აგროტექ...კოსების სემინარი. სემინარზე საც...ლი სადგურის უმცროსმა მეცნიერ-...მუშაკმა ამხ. გ. გაფრინდაშვილმა ...კითხა ლექციები თემაზე: „ვაზის ...ალი დატვირთვა“ და „მინერალუ... სასუქების ღრმად შეტანა ვენა...ში“.

...ექსკურსანტები, რომელთა რაოდე...ბა 300 კაცს აღწევდა, დაყოფილ იქ...ნ ჯგუფებად. საცდელი სადგურის ...ცნიერმა თანამშრომლებმა თ. კვა...ხელიამ, ა. მირმოხაძემ და სხვებმა ...ურსანტებს წაუკითხეს ლექციები.

ჩვენ გვწერენ

რუსთავის მცხოვრებთა ტრანსპორტით მომსახურება უნდა გაუმჯობესდეს

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ქ. რუსთავში მუშაობა დაიწყო ხუთმა მრავალადგილიანმა ახალმა ავტობუსმა. პირველ ხანებში ავტობუსები ქალაქის მცხოვრებლებს კარგად უწევდნენ მომსახურებას, მაგრამ ეს რატომღაც ხანმოკლე აღმოჩნდა. არსებული გრაფიკის მიხედვით ამჟამად ავტობუსები მოძრაობას დილის 8 საათიდან იწყებენ, მაშინ როდესაც მეტალურგიულ ქარხანაშიც მუშაობა ამავე დროს იწყება. ავტობუსები მეტწილად საღამოს 7 საათამდე მოძრაობენ, რის გამო ქარხნის ოფის ცვლის მუშებს ნორმალურ მომსახურებას ვერ უწევენ.

ავტობუსების მძღოლები სისტემატურად არღვევენ მოძრაობის გრაფიკს, ისინი ხშირად ერთ ადგილზე საათობით დგანან და ელოდებიან მანქანის ავსებას მგზავრებით. ავტობუსები რეგულარულად არ მოძრაობენ აგრეთვე მთავარი არხის მიმართულებით და მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე. ეს საკითხი რამდენჯერმე დაისვა თბილისის ავტობუსების კანტორის რუსთავის განყოფილების (უფროსი ა. ავაქოვი) წინაშე, მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა.

ე. ბერიშვილი
ი. ჯავახიშვილი
ნ. შენგელია

წესრიგი დავამყაროთ მეოთხე საფოსტო განყოფილებაში

ათასობით ადამიანს ემსახურება ქალაქ თბილისის მეოთხე საფოსტო განყოფილება, სადაც ყოველდღიურად წარმოებს კორესპონდენციების, დეპეშების, ფულის მიღება-გაგზავნა. ეს გარემოება ავალებს ფოსტის დირექციას (დირექტორი ერ. ჩიგოგიძე) საგანგებო წესრიგი დაამყაროს ფოსტაში.

საბჭოთა-რაზმი, საფოსტო განყოფილებაში უწესრიგობა ჩვეულებრივი მოვლენაა. მთელი დღის განმავლობაში ყველა ფანჯრიდან ისმის წერილებზე ბტემპელის დასმის ხმა, მაშინ როდესაც აძისათვის შეიძლება გამოინახოს ისეთი ადგილი, სადაც ხმაური მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

მისალმებ დარბაზში უსუფთაობაა, მთელი დღის განმავლობაში არ იწმინდება ჰაერი, არ ასუფთავებენ კედლებსა და ფანჯრებს.

მეოთხე საფოსტო განყოფილება ერთ-ერთი დიდი დაწესებულებაა ქალაქში, სადაც დილის 9 საათიდან ოთმის 12 საათამდე წარმოებს დეპეშების მიღება-გაგზავნა. მიღებული დეპეშები ცენტრალურ ტელეგრაფში მიაქვს შიკრიკს. ეს იწვევს დეპეშების დაგვიანებას, ხოლო ზოგჯერ დაკარგვასაც. აღნიშნულ განყოფილებაში ტელეგრაფის აპარატის დადგმა მნიშვნელოვნად გააადვილებდა ოპერაციებს.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სარწმუნებულმა საქართველოში უნდა გაითვალისწინოს ეს შენიშვნები და საფოსტო წესრიგი დაამყაროს მეოთხე საფოსტო განყოფილებაში.

მ. ვაშაძე

სიახლე ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მეთოდით მკურნალობაში

ფილტვის ტუბერკულოზს, როგორც ცნობილია, მკურნალობენ მედიკამენტებით, კლიმატური ფაქტორებით, აგრეთვე ხელოვნური პნევმოთორაქსით. პნევმოთორაქსი ეწოდება პლევრის ღრუში სპეციალური ხელსაწყოთი ჰაერის შეყვანას, რის შედეგადაც ფილტვი იკუმშება. ხშირ შემთხვევაში, როდესაც პნევმოთორაქსი უეფექტოა, მიმართავენ ფილტვის ქირურგიული მეთოდით მკურნალობას. ავადმყოფობის მსვლელობაში ქირურგიული ჩარევის მიზანი შეიძლება ორგვარი იყოს: პირველ შემთხვევაში ქირურგიული მეთოდით მკურნალობა მიზნად ისახავს არაეფექტური პნევმოთორაქსის ეფექტურად გადაქცევას, ხოლო მეორე შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა ხდება მაშინ, როცა ხელოვნური პნევმოთორაქსის გაკეთება შეუძლებელია პლევრის ფურცლების შეხორცების გამო. ასეთ დროს რეკომენდებულია ექსტრაპლევრული თორაკოპლასტიკა (ნეკნების ამოკვეთა), ექსტრაპლევრული პნევმოთორაქსი და კავერნების ღია წესით მკურნალობა (კავერნოტომია). როდესაც ხელოვნური პნევმოთორაქსის დროს შენაზარდებს გადასწვავენ, კავერნა მაინც არ იხურება, ღრუ არ იკუმშება და ღია რჩება, მაშინ ზოგჯერ მიმართავენ ბრონქოსკოპიის მეთოდს, თუმცა ბრონქოსკოპიის შედეგადაც ხშირად აქვს ადგილი რეციდივებს, ე. ი. კავერნების ხელახლა გაჩენას.

ამ მდგომარეობამ მკურნალ ექიმთა შორის წარმოშვა ფილტვის ტუბერკულოზის მკურნალობის ახალი იდეა. ეს იდეა მდგომარეობს ფილტვის დაავადებული ნაწილის ამოკვეთაში. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ნაცადი იყო ფილტვის დაავადებული ნაწილის ამოკვეთა, მაგრამ მან გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან ოპერაციის ტექნიკა მაშინ განუვითარებელი იყო, ანტიბიოტიკები ცნობილი არ იყო და ასეთი ოპერაციები ცუდი შედეგით მთავრდებოდა. უკანასკნელ წლებში ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიულმა მკურნალობამ ფილტვის ნაწილისა და ცალი ფილტვის ამოღებამ კარგი შედეგები მოგვცა. მაგრამ ტუბერკულოზიანი ფილტვის დაზიანებული ნაწილის, ეგრეთწოდებულ, დაზოგვითი-ეკონომიური ოპერაცია ჯერჯერობით არ ყოფილა ნაწარმოები. ამ თვალსაზრისით ექიმთა საზოგადოებრიობისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტის გიორგი აბაშიძის მიერ წარმოებული ოპერაციები.

მან თბილისის პირველ კლინიკურ ტუბერკულოზურ საავადმყოფოში განახორციელა რამდენიმე ორიგინალური ოპერაცია — ფილტვიდან კავერნის სოლისებრივად ამოკვეთა და შემდეგ ფილტვის ყრუდ გაკერვა. შემდგომ გართულებათა თავიდან ასაცილებლად მან ოპერაციისას გამოიყენა ანტიბიოტიკები. ასეთ ოპერაციას ექიმი კავერნექტომიას უწოდებს, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა. კავერნექტომია გაუკეთდა 22 წლის ქალს ე. ა-ძეს და 23 წლის მამაკაცს გ. ნ-ძეს. ორივე ეს ავადმყოფი შეიძლება განკურნებულად ჩაითვალოს. ისინი კარგად გრძნობენ თავს, ნორმალური ტემპერატურა აქვთ და მრავალჯერადი გამოკვლევით ტუბერკულოზის ბაცილები არ აღმოაჩნდათ. მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ის, რომ ეს ოპერაცია ნაკლებად ტრავმული და ამასთან დიდად პერსპექტივიანია.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ქირურგებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს გულმკერდის ღრუს, კერძოდ ფილტვის ქირურგიაში. თუ წარსულში ავადმყოფები განწირული იყვნენ ფილტვის მთელ რიგ დაავადებათა დროს (ფილტვის ქრონიკული ჩირქოვანი დაავადებანი, ფილტვის კიბო, ტუბერკულოზური კავერნები და სხვ.), ამჟამად საბჭოთა ქირურგებს უმეტეს შემთხვევაში უკვე აქვთ ზემოხსენებული დაავადებებისაგან ადამიანის განკურნების საშუალება.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და მთელი რიგი სხვა ქალაქების ქირურგები წარმატებით აწარმოებენ ფილტვის ნაწილის ან ცალი ფილტვის ამოკვეთას, რაც ავადმყოფის განკურნების საუკეთესო საშუალებაა.

საქართველოში ამ დარგში საყურადღებო გამოცდილებაა შეძენილი. მთელ რიგ კლინიკებში უკვე ათვისებულია ფილტვის დაავადებული ნაწილის ამოკვეთა (ე. ფიფია, მ. ჩაჩავა, ნ. ანთელავა და სხვ.), ხოლო ფილტვის ტუბერკულოზის დროს ასეთი ოპერაციები ჯერ არ ყოფილა გაკეთებული.

ამას წინათ თბილისის პირველ ტუბერკულოზურ საავადმყოფოში მოიყვანეს 23 წლის ქალი ა. სერედა, რომელსაც დაავადებული ჰქონდა მარჯვენა ფილტვი კავერნოზული ტუბერკულოზით. ორი წლის წინათ ამ ავადმყოფს გაუკეთეს ოპერაცია — შუასაძგიდის ნერვის დამბლა. ამ ნერვის დამბლა გამოწვეულია განზრახ, ქირურგიული საშუალებით. ამასთან ავადმყოფი დაავადებული აღმოჩნდა ყელის ტუბერკულოზით, ხმა სრულებით დაკარგული ჰქონდა და იღუბებოდა. მარჯვენა ფილტვის მთლიანად ამოკვეთის შემდეგ საკონტროლო დრომ განვლო, ავადმყოფი თანდათან მომჯობინდა, ხმა დაუბრუნდა, ტემპერატურა ნორმალური გაუხდა, თავს კარგად გრძნობს. მრავალგზისი ანალიზების შედეგად ტუბერკულოზის ჩხირები მას არ აღმოაჩნდა. კიდევ უფრო ეფექტური გამოდგა მეორე ოპერაცია: ჭიათურიდან ჩამოიყვანეს ჭაბუკი გეორგი ღუღუნიშვილი, რომელსაც ფილტვის კავერნოზული ტუბერკულოზის დროს თანდართული ჰქონდა სისხლის დენა, რამდენიმე დღე კიდევ და ავადმყოფს გარდუვალი დაღუპვა ელოდა. მას გაუკეთეს ფილტვის არტერიის გადაკვანძვა, რამაც ავადმყოფი სიკვდილს გადაარჩინა. ფილტვის არტერიის გადაკვანძვისას ხდება ავადმყოფი ფილტვის გამოთიშვა ორგანიზმიდან მაგრამ იმდენად, რომ თვით ფილტვმა იცხოვროს, ისე რომ სხვა ორგანოებზე გავლენა არ მოახდინოს. ასეთივე ოპერაცია გაუკეთდა მეორე ავადმყოფს, რომელიც ამჟამად კარგად არის.

ამ ოპერაციებმა ცხადყო, რომ ფილტვის კავერნოზული ტუბერკულოზის ქირურგიული წესით მკურნალობა (კავერნექტომია, ლობექტომია, პულმონექტომია) სავსებით შესაძლებელია.

ა. ცოფაია

თბილისის პირველი კლინიკური ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება“

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ტოგონიძის ნაშრომი „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.)“. მთიანეთის 1804 წლის აჯანყება საბჭოთა ისტორიკოსების კვლევის სპეციალურ თემად დღემდე არ გამხდარა. ვ. ტოგონიძემ მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვებით პირველმა სცადა მოეცა 1804 წ. ქართლის მთიანეთის აჯანყების ვრცელი ანალიზი.

სარეცენზიო გამოკვლევა სამი თავისაგან შედგება.

გამოკვლევის პირველ თავში — „აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIX ს. დამდეგს“ (გვ. 13-52)—ავტორი ვრცლად განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას XVIII-XIX სს. მიჯნაზე. პირველ რიგში მოკლედ, მაგრამ ნათლად ასახულია საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, არახელსაყრელი საგარეო პირობები. ყოველივე ამან საქართველოს წინაშე ალტერნატივი დააყენა — „მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო“*).

ვ. ტოგონიძე, ეყრდნობა რა მთავრობის კომისიის ყოფილის დადგენილების ზემოაღნიშნულ საჰელმძღვანელო დებულებას, მართებულად უჩვენებს, თუ როგორი იყო რუსეთის ინტერესები საქართველოში და რუსეთთან საქართველოს შეერთებამ როგორი შედეგი გამოიღო ქართველი ხალხისათვის. ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტები შესანიშნავი ილუსტრაციაა „უმცირესი ბოროტების“ ფორმულის სწორი გაგებისა.

მაგალითად, მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვიდან ავტორი მიდის სავსებით სწორ დასკვნამდე, რომ „საქართველოს გადარჩენა დალუპვისაგან“ ცარიზმს ესმის როგორც რუსეთის ინტერესების დაცვა აღმოსავლეთში“ (გვ. 19-20). ამას გარდა, რუსეთისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შეერთებას ეკონომიური სარგებლიანობის თვალსაზრისითაც (გვ. 25-27). ყოველივე ამის გამო, ავტორის მართებული დასკვნით, „საქართველოს ბედი, საქართველოს მეფის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული პირობების დარღვევით და საერთაშორისო ნორმების წინააღმდეგ, იმ დროს შექმნილი ვითარებისა გამო, ისე გადწყდა, როგორც ეს სასარგებლო და ხელსაყრელი იყო ცარიზმისათვის“ (გვ. 32). ამიტომაც ბუნებრივია, აღუქსანდრე I-ის 1801 წ. 12 სექტემბრის გამოქვეყნებული „მანიფესტი“, რომელიც საზეიმოდ აცხადებდა „ქართველი ხალხის გონებაგაწყობასთან“ შეფარდებულ „მართლმსაჯულების“, „პიროვნებისა და ქონებრივი უშიშრობის“ უზრუნველყოფას, ვ. ტოგონიძის მართებული განცხადებით, იყო „ცარიზმის თვალთმაქცობის კლასიკური ნიმუში“ (გვ. 39). ყოველივე დაპირებულის მაგიერ დაპყარდა მმართველობა ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე, რუსული ბიუროკრატიული სამართალი, რუსი მოხელეების მედიდურობა, მექრთამეობა-მტაცებლობა. ცხადია, „ეს იყო აშკარა მატყუვება, ხალხის უფლებათა გათელვა“ (გვ. 41).

„ახალი წყობილების დამყარებამ“ — წერს ვ. ტოგონიძე, — ისეთი უხეში წესით ხდებოდა, რომ ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. ადგილობრივ პირობებს თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და უცვლელად გამოაქონდათ შიდა რუსეთის არა მარტო კანონები, არამედ მმართველობის ყველა მეთოდიც. ამასთან მთავრობა აწარმოებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამ მხრით მტკიცედ მისდევდა დასახული გეგმის განხორციელებას“ (გვ. 46). აი რა იყო „უმცირესი ბოროტების“ ერთი შედეგი...

მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი შედეგი. სარეცენზიო შრომის ავტორი სავსებით სწორაკ მიუთითებს იმ დადებით მხარეებზეც, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. ავტორი სამართლიანად წერს: „თუ ქართველმა ხალხმა მოახერხა თავისი ნაციონალური სახის, თავისი ნაციონალური ინდივიდუალობის შენარჩუნება, ეს შესაძლებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის განსაკუთრებული წინააღმდეგობის უნარისა და... რუს ხალხთან კავშირის განმტკიცებით“ (გვ. 51).

რუსეთთან შეერთების შემდეგ ბოლო მოეღო სპარსეთისა და ოსმალეთის მძარცველურ ლაშქრობებს, ლეკთა თარეშებს, დადგა მშვიდობიანი განვითარების პირობები; ქართველ ხალხს, რუს ხალხთან დამყარებული მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შედეგად, ფეოდალური ჩიხის ადგილად დაძლეულ შესაძლებლობა მიეცა; კაპიტალისტურმა ურთიერთობამ საქართველოში თანდათან გაიკაფა გზა; ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაქსაქსული ქვეყანა გაერთიანდა, და XIX ს. მეორე ნახევარში ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა როგორც ერი (გვ. 51-52).

ეს იყო „უმცირესი ბოროტების“ მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგი.

ავტორი სწორად მოიქცა, როცა ხაზი გაუსვა „უმცირესი ბოროტების“ ამ ორ მხარეს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგების ასეთი გაგების გარეშე აუხსნელი დარჩებოდა თვით 1804 წ. ქართლის მთიანეთის აჯანყების მიზეზები.

სარეცენზიო გამოკვლევის მეორე თავი მოკლედ შეეხება ორ საკითხს: გლეხთა მდგომარეობასა და ქართლის მთიანეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

ავტორი ჩერდება ქართლის მთიანეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე, მთიანეთის გლეხთა ვალდებულებებზე რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ. გლეხთა მასების ორმაგი ჩაგვრა, ავტორის სამართლიანი განცხადებით, იქცა მათი სტიქიური აჯანყების მიზეზად. ამ საკითხების გასარკვევად ნაშრომში მოყვანილია როგორც XVIII საუკუნის, ისე XIX საუკუნის დამდეგის დოკუმენტები.

ნაშრომის მესამე თავი თავით გლეხთა აჯანყებას შეეხება. აქ პირველ რიგში გარკვეულია აჯანყების მიზეზები (გვ. 75-76), ხოლო შემდეგ ავტორი აჯანყების უშუალო საბაბს ეხება. ავტორი მართალია, როცა ფიქრობს, რომ მთიანეთის გლეხთა აჯანყების საბაბი იყო არა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებები, როგორც ზოგი ავტორი ფიქრობდა, არამედ რუს ხელისუფალთა ცდა — ქართლის მთიელები ჯარში გაეწვიათ.

აჯანყებამ მოიცვა არა მარტო ერთი ხეობა— მთიულეთი — არამედ ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი. ამის გამო ავტორი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ 1804 წლის აჯანყებას ქართლის მთიანეთის აჯანყება უნდა ეწოდოთ და არა მთიულეთისა, როგორც ეს დღემდე ჩვეულებრივ მიღებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ავტორი თავის ერთ ძირითად ამოცანად ისახავს გაარკვიოს აჯანყების ბუნება. ვ. ტოგონიძის გამოკვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ მან დადგინა აჯანყების არა მარტო მასობრივი ხასიათი, არამედ აჯანყების ხელმძღვანელთა ვინაობაც.

აჯანყების ხელმძღვანელები — ლეონ ნაზღაიძე, შიო ბურდული, სამუკა ამირიძე, თალარა ჩქარაული, პაპუნა ჩებოლაური, ნინია და იმანა ბედოიძენი და ნინია ბენიანიძე — „დაბალი“ საზოგადოებრივი წრის შვილები არიან. მათთან ერთად ებრძოდნენ, რუს ჩინოვნიკთა სიტყვით რომ ვთქვათ, სხვა „მეფეყანე

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 მარტი. (საკვანძო). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეგანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

ხინამის რაიონში სახალხო ჯარების არტილერიამ სროლა ოუტეხა მოწინააღმდეგის ზომაღლდებს, რომლებიც სეხოდინის წყლებში შეიჭრნენ და დაბომბეს სანაპირო რაიონები. ჩაძირულია მოწინააღმდეგის საესკადრო ნაღმოსანი.

დღეს სახალხო ჯარების საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი და დააზიანეს 4.

ამერიკელები აჭიანურებენ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებას

ფხენიანი, 25 მარტი. (საკვანძო). დღეს კორეის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტოს ცნობა, რომლის სათაურია „ამერიკელი აგრესორები დაზავების შესახებ მოლაპარაკების გაჭიანურებით ცდილობენ გაიფართოონ ომი“. ცნობაში ნათქვამია:

8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება დაიწყო. მაგრამ გაჭიანურების და ობსტრუქციების შეუპოვარი პოლიტიკის გამო, რომელსაც მიმართავს ამერიკელთა მხარე, მოლაპარაკება დღემდე ვერ მთავრდება წარმატებით. ამერიკის მხარის პოლიტიკა განსაკუთრებით ნათელი გახდა ამ უკანასკნელ ხანებში დღის წესრიგის მე-3, აგრეთვე მე-4 პუნქტის განხილვის დროს. ამერიკელები სრულიად უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგებიან ჩვენს იმ წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა მიიღოს ნეიტრალური მეგეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ დაზავების განხორციელების მეთვალყურე კომისიაში, ილაშქრებენ ჩრდილოეთ კორეაში აეროდრომების მშენებლობის წინააღმდეგ, აგრეთვე წინანდებურად დაჟინებით აყენებენ თავიანთ აბსურდულ მოთხოვნას სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი“ პრინციპით და განზრახული აქვთ დაკავონ ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეები.

ამ უგუნურ მოთხოვნებს ამერიკის მხარე აყენებს მხოლოდ ერთი მიზნით — გაჭიანურის

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების გამო

პეკინი, 25 მარტი. (საკვანძო). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის მიერ ანდუნიდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტების გამოძიებელი კომისიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ჯგუფმა ანდუნის რაიონში შეაგროვა მრავალი დამამტკიცებელი საბუთი. ყველა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ფოტოგრაფირებულია.

ამ ჯგუფის წევრთა ერთი ნაწილი 20 მარტს ანდუნიდან კუანდიანის მაზრაში გაემგზავრა, რომ ადგილობრივ მოახდინოს გამოძიება.

ქვემოთ მოყვანილია ანდუნის რაიონში გამოძიების დაწერილებითი ცნობები.

18 მარტს ჯგუფმა, რომელსაც ჩენ ჯი-იუანი ხელმძღვანელობს, აღმოაჩინა მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნებოვნებული მრავალი მოსიკტი, ბუზი და ობობა მდინარე იალუძიანის გაყოლებით და ჯენანის რაიონში დუნკანძის იქით მდებარე გორაკებზე. აღგილობრივმა სახელმწიფო მოსამსახურემ შან ვენ-ჟუნმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აღმოაჩინა მან ბაქტერიებით დასნებოვნებული მწერების გუნდები მაშინვე, როგორც კი ამერიკის თვითმფრინავებმა გადაუფრინეს ამ რაიონს 6 მარტს. ჯგუფის წევრებს გადაეცათ სამხედრო მოსამსახურის დუნ ვენ-სიუეს მიერ იმავე დღეს დაჭერილი ბუზებით სავსე ბოთლები. დამამტკიცებელი საბუთები წარადგინეს აგრეთვე სოფლის მცხოვრებლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მწერების მოსპობაში. მცხოვრებლებმა ჯგუფის წევრებს განუცხადეს, რომ მათ წინათ არასოდეს არ უნახავთ ასეთი მწერები.

19 მარტს გამოძიება მოხდა ადგილობრივ ლანტუუსა და ულუნების რაიონებში და სოფელ ვეიდანში. ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივი ორგანიზაციის ექიმმა ჯგუფის წევრებს უამბო, რომ მან დაინახა, თუ როგორ ჩამოყარეს ამერიკის თვითმფრინავებმა 11 მარტს 15 საათსა და 30 წუთზე ბევრი თეთრი პარკი. ამ მომენტში იგი იყო ლანტუუს რაიონული ადმინისტრაციული დაზავების შესახებ მოლაპარაკება და გამოიყენონს ეს ახალი ძალების გადასაყვანად ფრონტისაკენ, რათა დაიწყოს ახალი საფთარი შეტევა. ამერიკელ აგრესორთა სწორედ ასეთი პოლიტიკის გამოვლინება იყო გასულ წელს ვან ფლეტის არმიის საზაფხულო და საშემოდგომო შეტევა, რაც სამარცხვინოდ დამთავრდა. განიცადეს რა დამარცხება, ინტერვენტებმა წელს მიმართეს ახალ ცდას — ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით დაეჩოქონ ჩვენი ხალხი. ამერიკელ აგრესორთა ეს ახალი სამინელი დანაშაული სრულიად უეჭველს ხდის, რომ მათ არავითარი სურვილი არა აქვთ მშვიდობიანი გზით გადაჭრან კორეის კონფლიქტი. პირიქით, ისინი ცდილობენ გაიფართოონ აგრესია.

დასასრულ საგენტოს ცნობაში ნათქვამია:

რაც უნდა ცდილობდნენ ამერიკელი ინტერვენტები დაამშინონ სამშობლოს ლირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად დარაზმული კორეელი ხალხი, მაინც ჩაიფუშება ინტერვენტების ყოველი ცდა — გატეხონ ჩვენი ხალხის ნებისყოფა. კორეელი ხალხი აღშფოთებულია აგრესორების ახალი დანაშაულობით და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად მოითხოვს კაცობრიობის წინაღმდეგ ამერიკელთა ამ საშინელი დანაშაულის ორგანიზატორებისა და აღმსრულებლების სასტიკ დასჯას.

ამერიკელები ცდილობენ ინდოეთში ბაქტერიოლოგიური ომის გაფართოებას

ბომბეი, 25 მარტი. (საკვანძო). ინდოეთის ინფორმაციის ბიუროს ცნობით, ნიურნბერგში გერმანიის კომუნისტური პარტიის მიტინგზე, რომელიც საქალაქო კრების არჩევნებთან დაკავშირებით გამართა, სიტყვა წარმოთქვა პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა. მიტინგს დასწრო ქალაქის 3 ათასი მცხოვრები. ნიურნბერგის რამდენიმე ასეული მცხოვრები, რომლებმაც ვერ მოახერხეს შესულიყვნენ გაჭედილ დარაბაზში, სიტყვას ისმენდნენ ქუჩაში რადიორეპროდუქტორებთან. როცა მაქს რაიმანმა თავის სიტყვაში მოითხოვა გერმანიის გაერთიანება და საბჭოთა ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება, მიტინგის მონაწილენი მის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ერთხმად მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას ბონის მთავრობისადმი — დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რათა დემოკრატიული არჩევნების საშუალებით შეიქმნას გერმანიის მთავრობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საზაო ხელშეკრულების განხილვაში საბჭოთა კავშირის წინაღადგენათა საფუძველზე.

მიტინგის მონაწილეებმა ახალ საქალაქო კრებაში კომპარტიის კანდიდატებს გადასცეს ამოარჩევლთა განაწესი, რომელშიც ნათქვამია: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 7 წლის შემდეგ გერმანიამ კიდევ ვერ მიიღო საზაო

ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ვილე პესის დაბადების 50 წლისთავი

ჰელსინკი, 25 მარტი. (საკვანძო). ფინეთის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ვილე პესის დაბადების 50 წლისთავი.

გუშინ პესი ენახულა მრავალმა დელეგაციამ, რომლებიც ფინეთის დემოკრატიულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

გაზეთმა „ტიუკანსან სანომატმა“ გამოაქვეყნა პესის მიერ მიღებული მისასალმებელი დეპეშები ფინეთის ბევრი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან.

ვილე პესის მისასალმებელი დეპეშები მიიღო საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიებისაგან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში ნათქვამია:

„ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ ვილე პესის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგილოცავთ დაბადების ორმოცდაათ წლისთავს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

მისასალმებელი დეპეშები გამოგზავნეს აგრეთვე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ნორვეგიის, დანიის, შვეციისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებმა.

ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის

მაქს რაიმანის გამოსვლა ნიურნბერგში

ბერლინი, 25 მარტი. (საკვანძო). ადნ-ის საგენტოს ცნობით, ნიურნბერგში გერმანიის კომუნისტური პარტიის მიტინგზე, რომელიც საქალაქო კრების არჩევნებთან დაკავშირებით გამართა, სიტყვა წარმოთქვა პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა. მიტინგს დასწრო ქალაქის 3 ათასი მცხოვრები. ნიურნბერგის რამდენიმე ასეული მცხოვრები, რომლებმაც ვერ მოახერხეს შესულიყვნენ გაჭედილ დარაბაზში, სიტყვას ისმენდნენ ქუჩაში რადიორეპროდუქტორებთან. როცა მაქს რაიმანმა თავის სიტყვაში მოითხოვა გერმანიის გაერთიანება და საზაო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება, მიტინგის მონაწილენი მის სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ერთხმად მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას ბონის მთავრობისადმი — დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რათა დემოკრატიული არჩევნების საშუალებით შეიქმნას გერმანიის მთავრობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საზაო ხელშეკრულების განხილვაში საბჭოთა კავშირის წინადადებათა საფუძველზე.

შიმშილი ინდოეთში

დელი, 25 მარტი. (საკვანძო). გაზეთი „ნაია საკერა“ იუწყება, რომ მადრასის, დასავლეთ ბენგალიის, უტარ პრადეშისა და ბიხარის შტატებში და ინდოეთის სხვა რაიონებში დიდი შიმშილობაა.

რაიალსიმის რაიონში (მადრასის შტატი) და ანდხრის აღმოსავლეთ რაიონებში მოსახლეობის 90 პროცენტი შიმშილობს. მოსახლეობა იკვებება ბალახითა და ფესვებით. აკლიათ წყალი. ტინუგონდის რაიონში 20 ათასმა მოსახლემ მოატოვა თავიანთი სოფლები. ჩიტურის რაიონშიც 100 ათასამდე გლეხმა მიატოვა სოფლები.

უტარ პრადეშის შტატში შიმშილობა მოედო აღმოსავლეთის 11 რაიონს. მირზაპურის რაიონის მოსახლეობა ბალახითა და ფესვებით იკვებება. შტატის მთიან რაიონებში დაახლოებით 150 ათასი კაცი შიმშილობს. მოპამედაბადის, ლალგუნჯიოსა და სხვა რაიონებში ბევრ გლეხს უკვე სრულიად არა აქვს საკვები მთელი კვირის განმავლობაში. დეპორიის რაიონიდან იუწყებიან, რომ იქ შიმშილით სიკვდილის შემთხვევები იყო.

ბიხარის შტატის გუბერნატორი იძულებული გახდა ედიარებინა, რომ ბიხარში სურსათის მხრივ მდგომარეობა საშიშია.

შიმშილი ემუქრება ასამისა და ჰაიდერაბადის აღმოსავლეთ რაიონებს, ტრავანკორ-კოჩინის, ალვარის, ბხარატპურისა და რაჯასტანის შტატებს.

გაზეთ „ტაიმს ოფ ინდიას“ ბენარესელი კორესპონდენტის ცნობით, 15 ათასმა დამშეულმა გლეხმა მოიყარა თავი ბანსში გამართულ დემონსტრაციაზე, რომელმაც ჩაიარა ლოზუნგით „მოგვეცით პური და ტანსაცმელი“.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 25 მარტი. (საკვანძო). დღეს გაიმართა გ. მაროცის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-13 ტური. ამ ტურით დაიწყო ტურნირის ფინიში. უნგრეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა გამოაცხადა სპეციალური პრიზები: სამი — ტურნირის საუკეთესო პარტიებისათვის, ერთი — უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის და ერთიც — არაპრიზიორის პრიზიორთა წინააღმდეგ საუკეთესო შედეგისათვის.

დღევანდელი ტურის ცხრა პარტიიდან ბოტვინიკ-ბარეევა, კოტნაუერ-კერესი, ო'კელლი-პეტროსიანის, შტალბერგ-ასმისლოვისა და ბენკო-პილნიკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გერებენ-გელერის პარტიაში საბჭოთა ოსტატმა სიცილიური დაცვა აირჩია. თეორებმა გაკეთეს გრძელი როკი და დაიწყეს იერიშის მზადება მეფის ფლანგზე. მაგრამ გელერმა დასწრო თეორების განზრახვას და თვითონ მიიტანა ენერგიული იერიში თეორი მეფის პოზიციაზე. ბრძოლა აღსავსე იყო ლამაზი კომბინაციებით. მე-17 სვლაზე გელერმა პირველად შესწორა რკუ. გერებენმა არ აიღო ფიგურა. მე-19 სვლაზე გელერმა მეორედ შესწორა რკუ, და გერებენი იძულებული გახდა აეღო იგი. 22-ე სვლაზე გელერმა შესწორა კიდევ ხარისხი და მთელი რიგი კომბინაციების შედეგად მოიგო ლაზიერი და ორი პაიკი ორ ეტლში, ამასთან შეინარჩუნა იერიში. საბჭოთა ოსტატი ზუსტად თამაშობდა და 40 სვლის შემდეგ გერებენმა, დამარცხებულად ცნო თავი.

საბომ მოუყო გოლობეკს და სილიმ—სლივას. მარტო ტროიანესკუ-პალატის პარტია დარჩა დაუთამაშრებელი. 13 ტურის შემდეგ წინ არის საბჭოთა ოსტატი გელერი, რომელმაც 10 ქულა მოაგროვა, შემდეგ შტალბერგი — 9,5, კერესი — 9, ბოტვინიკი — 8,5.

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის

მეოთხე ტურში ს. როოტარე — ს. პოდგორიაის პარტიაში დებიუტიდანვე თეორები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მოუხედავად შეუპოვარი თავდაცვისა, 29-ე სვლაზე თეორებმა აიძულეს მოწინააღმდეგე დანებებულიყო. მწვავე და შინაარსიანი მანევრირებით დაიწყო ვ. ტახომიროვა — ი. გურფინკელის პარტია. შუა თამაშში ვ. ტახომიროვამ მოწინააღმდეგის მეფეზე გადამწყვეტი იერიშის მიტანის შედეგად მოხდენილი კომბინაციით მოიგო პაიკი, ხოლო მე-40 სვლაზე პარტიაც.

ყაიმზე შეთანხმდნენ: ტ. მახინია — ო. იგნატიევა, ვ. ბელოვა — ო. რუბცოვა და ბ. ვაისბერგი — ლ. კოგანი. პოზიციური თამაშით აღინიშნა მსოფლიო ჩემპიონის ლ. რუდენკოს პარტია ე. ბიგლოვასთან. ეს პარტია გადადებული ანალიზი მდგომარეობაში. გადადებულია აგრეთვე ი. ვოიცეკ — ე. ბიკოვას და ბ. კრეზბერგ — ლ. ვოლპერტის პარტიები. ტ. სტრონდსტრემ — ტ. ფილანოვსკაის პარტია არ გათამამებულა.

ნიკო ლომოურის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო

28 მარტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ნ. ლომოურის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის დ. სულიმშვილი. მოსსენებას ნიკო ლომოურის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ო. ჩხეიძე, მოგონებებით და სიტყვებით გამოვლენ: ნ. ნაკაშიძე, თ. სახოკია, ნინო ლომოური, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ბ. კოზირია და პ. ლეკვეიშვილი.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

ლექცია

27 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტიბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) ამხ. ფრიშენბერგი წაიკითხავს ლექციას თემაზე „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ენერგიული პროფესორი გ. ი. ცხაკაია

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოში მეცნიერული და კლინიკური ოფთალმოლოგიის ფუძემდებელი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი პროფესორი მიხეილ ივანეს ძე ცხაკაია.

მ. ი. ცხაკაია დაბადა ქ. ქუთაისში 1875 წელს. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შედის მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იწყებს მოღვაწეობას ქ. რიგაში.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მ. ცხაკაია როგორც სამხედრო ექიმი მუშაობს საველე ჰოსპიტლებში ორდინატორად.

1918 წელს ჩამოდის თბილისში და იწყებს მუშაობას უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში და კათედრის ორდინატორის და შემდეგ ასისტენტის თანამდებობაზე, ხოლო 1935 წელს ანიჭებენ პროფესორის წოდებას.

მ. ცხაკაია 1932-1946 წლებში განაგებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამფერიანი საველე ქირურგიის კათედრას. 1935 წელს ირჩევენ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში საველე ქირურგიის, ხოლო შემდეგ ორთოპედიის კათედრის გამგედ.

დიდი სამამულო ომის წლებში მოღვაწეობს რესპუბლიკის ევაკოჰოსპიტლებში და ეროვნულ მონაწილეობას იღებდა მებრძოლთა მკურნალობის საქმეში; ამასთან ერთად მან მოამზადა სხვადასხვა სპეციალობის ასობით ექიმი სხვადასხვა საველე ქირურგიაში.

1946 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებს ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის მეცნიერო-საკავშირო ინსტიტუტის დაარსებაში, რის შემდეგ წარმატებით ხელმძღვანელობს ინსტიტუტს.

პროფესორი მ. ი. ცხაკაია 1947 წელს შეიტანს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1950 წელს აირჩევენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მ. ცხაკაიას ნაყოფიერ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. ... დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი მედლით და „ეკონომრეგალობის ღვაწლისა“ ... „ნაშინდ“ ...

მ. ცხაკაიას კალამს ეკუთვნის ოცდათხუთმეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია აგრეთვე ... ვალი სამეცნიერო შრომა ქირურგიის სხვადასხვა დარგში.

პროფ. მ ცხაკაიას სახით საქართველოს მშრომელებმა და სამედიცინო საზოგადოებრიობამ დაკარგეს გულსხმიერი მკურნალი, საუკეთესო ჰედაგოგი და ნიჭიერი მკვლევარი.

მ. ცხაკაიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მოსამსახურეებისა და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 26-III მოწვევა — საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი ძალა. საერთო სათაურით საპირველმაისო სტატიები. ნოვიური ვიზტი. წერილები: ზ. მერკვალიძე — ახალი დონისასელ მეშახტეებთან შეჯიბრებაში. ს. დოროგავაცევი — ღიას კასპში. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი. მ. ... საველს კარგი პირი უჩანს.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — მშენებელთა და მეტალურგთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანები (რეფერატი თავის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კომფერენციაზე).

ვ. ჭიაურელი — რკინ (ბ) მეთერთმეტე ყრილობა (30 წლისთავის გამო).

ვ. კაციტაძე — მაღალი, კეთილშობილური მიზანი.

მკითხველთა წერილები.

მესამე გვერდი — ზღვარი დაეფუძოთ ამერიკელი აგრესორების ბორტმტვრევებს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში — ს. დერბინი — „დახმარების“ საფარქვეშ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — შ. აფხაიძე — აკ. ბელაშვილის ნოველები. შ. მაკაბარიანი — ზ. ელოსნობის პროპაგანდა თეატრალურ ხელოვნებაში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

28 მარტს

6.25 — ლეპინის და მილიუტინის სიმღერები. 7.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 10.30 — ქართველი პოეტების ლექსები ხალხთა მეგობრობაზე. 11.10 — ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი. 17.15 — კონცერტი რახმანინოვის ნაწარმოებებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — კამერული მუსიკა. 19.15 — კონცერტი სვენდსენის ნაწარმოებებიდან. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ბ. დიდებულიძის კონცერტი. 21.00 — ლექცია: სოციალისტური რეფორმაციის ლენინურ-სტალინური თეორია. 21.50 — კონცერტი სიმღერების ოსტატთა შესრულებით. 22.30 — მაქსიმ გორკის ზღაპრის: „დედას“ რადიოინსცენირება. 22.50 — ქართული ხალხური სიმღერები. 00.05 — სიმპერტო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრუბადური (მე-3 ა.ბ.); **რუსთაველის სახელობის** — საშობლო (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ლამაზი მამაკაცი (დილით), მოძღვარი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — რევიზორი (დილით), ძია ვანო (საღამოს 58, 59 ა.ბ.); **სომხური დრამის** — არტისტი; **მუსიკალური კომედიის** — არსენა ოძელაშვილი (დილით), ტრემბიტა (საღამოს მე-10 ა.ბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ზამთრის ზღაპარი (25-ე ა.ბ. 10 ს., 30-ე ა.ბ. 1 ს.), შინ დაბრუნება მინდა (31-ე ა.ბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ქორწინება (11 ს.), ყაჩაღები (5 ს.); **თოჯინების ქართული** — ურჩი ვაი (11 ს.), მამლაყინწას თავგადასავალი (2 ს.), გაზაფხულის ყვავილი (4½ ს.); **სანკულტურის** — კარგი ამხანაგი; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე მემინდვრეობის ინსტიტუტისათვის (გორდაბანში):

მარცვლეული კულტურების განყოფილების გამგე—მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1. ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგე—მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1. აგროქიმიის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1. საკვები ბალახების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი—აგროქიმიურ ლაბორატორიაში მეცნიერებათა კანდიდატი—2. **ლაგოდეხის საცდელი მინდვრის გამგე**—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი — 1. **ბორის საცდელი მინდვრის გამგე**—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი—1. **ახალციხის საცდელი მინდვრის გამგე**—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი—1. **თელავის დასაყრდენი პუნქტის გამგე**—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი — 1. **ქოლხიდის საცდელი მინდვრის გამგე** — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი — 1. **სამგორის დასაყრდენი პუნქტის გამგე**—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი — 1. **კახეთის საცდელი სადგურისათვის (წითელწყაროში)** მარცვლეული კულტურების განყოფილების გამგე—მეცნიერებათა კანდიდატი—1. **აგროქიმიური განყოფილების გამგე** მეცნიერებათა კანდიდატი—1. **საკვებმოპოვების განყოფილების გამგე,** მეცნიერებათა კანდ. — 1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნ. კანდიდატი — 2.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: კადრების ოლრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, უმაღლესი განათლების დიპლომი, სამეცნიერო შრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან. განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, გარდაბნის რაიონი, მემინდვრეობის ინსტიტუტი.

1952 წლის 30 მარტს ქ. ლენინგრადში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 26-ე ტირაჟი

ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება 8.500 მოგება 4.650.200 მანეთის თანხისა, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი—30 თებერვალს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა
და სესხების კრედიტის სამმართველო

შვილი ბიშა, რძალი თამარ, შვილიშვილები ... ჯუმბერ, რამაზ იუწყებიან **ბესარიონ ლეონიძ-ძე ნაკაიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. სუფსაში (ლანჩხუთის რ.).

დეიდა ნინო ლორთქიფანიძე, ბიძა თეოდორე ჩეკურიშვილი, დეიდაშვილები ეთერ ლორთქიფანიძე, ნონა აბაშიძე, სიძე ანდრო აბაშიძე იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე ცხაკაიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ანშაკ, შვილები ლიუსია, თამუნა, არტიუშა, რძლები ვერა, ივა შვილებით იუწყებიან **მარიამ შავერდის ასულ** თევოსიანის გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, 5-ს დავითაშვილის, 6.

მეუღლე ბაბილინა, შვილები მავრა, თინა, სიმონ, ცოლისდა ანსატასია მაჭარაშვილი, სიძეები ლ. სარბილაძე, პ. აბესაძე, ი. მაჭარაშვილი შვილებით იუწყებიან **ზაქარია ანანიან-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, სოფ. შუქრუთში (ქიათურის რ.).

მეუღლე იულია, შვილი სიმონ, რძალი თამარ, შვილიშვილები მედეა, იული, სიმონ იუწყებიან **არტემ ჭიტეხას-ძე ჭოჩლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-III, 5 ს. ქ. თბილისში.

რძალი ბაბილინა, ძმისწულები ეკატერინე, თინა, სოსო, გიგა თურქეები, სიძე ეფეტინე გობრონიძე, ალათი დედიანი იუწყებიან **გრიგოლ მათეს-ძე ზუბაიაის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III, ქ. სუხუმში. გამოსვენება ქუთაისის, 25.

№ 24 აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან **ივანე სიმონის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინე, შვილები თამარ, გიორგი, ნინო, რძალი ნელი ალექსიძე, სიძე ალექსანდრე ორახელაშვილი შვილებით იუწყებიან **ვახტანგ გიორგის-ძე ქართველიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-III, 8 ს. გამოსვენება 29-III, 5 ს. ჯორჯაძის, 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: „პროპაგანდისა“ და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სახალხო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამოცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЦ 00167